

## განათლების ხარისხის განვითარების შიდა მექანიზმები

ა(ა)იპ კოლეჯი „პრესტიჟი“ ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით მუშაობს საერთო PDCA პრინციპით: P – plan - დაგეგმვა; D – do - განხორციელება; C - check - შემოწმება; A – act - რეაგირება. განათლების ხარისხის განვითარების შიდა მექანიზმები საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელების ხარისხის უზრუნველყოფის და გაუმჯობესების ერთ-ერთი ძირითადი მექანიზმია, რომლის უზრუნველსაყოფად კოლეჯში შექმნილია მონიტორინგის ჯგუფი.

**1. დაგეგმვა** – დასახული ამოცანების შესასრულებლად უნდა დაიგეგმოს ჩასატარებელი სამუშაო და შემუშავებულ იქნეს სამუშაო გეგმა, რომელიც მოიცავს შესასრულებელ სამუშაოს, შემოწმების ფორმებს და კრიტერიუმებს და მონიტორინგის ვადებს.

№	განსახორციელებელი სამუშაო
1.	სალექციო განრიგის შემოწმება და შესაბამისობის დადგენა საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო გეგმებთან
2.	მატერიალურ-ტექნიკური ბაზის (მათ შორის აუდიტორიების და ბიბლიოთეკის საშუალებების დარბაზის, ინვენტარის და სასწავლო პროცესისთვის აუცილებელი პირობების, კომპიუტერული ტექნიკის – კომპიუტერული პროგრამების და ინტერნეტის), მდგომარეობის შემოწმება და საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებული მატერიალურ-ტექნიკურ ბაზასთან შესაბამისობის დადგენა
3.	სასწავლო კურსის (მოდულის) კალენდარული გეგმების, შეფასების ინსტრუმენტების, უწყისის, მოდულის საწვლების შედეგების დამადასტურებელი თავსებადობის უწყისის ფორმების შემუშავება
4.	საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული ყველა სასწავლო კურსის (მოდულის) კალენდარული გეგმების არსებობის შემოწმება
5.	საბიბლიოთეკო წიგნადი ფონდის (სახელმწიფანელოების და სასწავლო მასალის ფიზიკური მდგომარეობა, რაოდენობა, სასწავლო კურსში (მოდულებში) მოთითებული ლიტერატურის შესაბამისობა) შემოწმება
6.	ვებ-გვერდის მუშაობის და ინფორმაციის განახლების შემოწმება
7.	სტუდენტთა/მსმენელთა აკადემიური მოსწრების და სტუდენტთა/მსმენელთა საკონტაქტო მეცადინეობებზე დასწრების მონიტორინგის ფორმების შემუშავება
8.	სასწავლო პროცესის, საგანმანათლებლო პროგრამის და სასწავლო კურსის (მოდულის) მიმდინარეობის ხარისხის მონიტორინგის მიზნით სტუდენტთა, პროფესიული განათლების მასწავლებელთა, დამსაქმებელთა, კურსდამთავრებულთა გამოკითხვის ანკეტების ფორმების შემუშავება
9.	სტუდენტთა/მსმენელთა, პროფესიული განათლების მასწავლებელთა, დამსაქმებელთა, კურსდამთავრებულთა გამოკითხვა სასწავლო პროცესის, საგანმანათლებლო პროგრამის და სასწავლო კურსის ხარისხის მონიტორინგის მიზნით
10.	სტუდენტთა/მსმენელთა, პროფესიული განათლების მასწავლებელთა, დამსაქმებელთა,

	<i>კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგების ანალიზი</i>
11	<i>სასწავლო კურსის (მოდული) საკონტაქტო საათებზე დასწრებისა და შედეგების დადასტურების მონიტორინგი</i>
12	<i>სასწავლო პროცესში ინკლუზიური განათლების ინტეგრირებისა და ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნის მიზნით, ახალი მექანიზმების დანერგვის ხელშეწყობა.</i>
13	<i>სასწავლო წლის შემაჯამებელი ანალიზი, წლიური ანგარიში, SWOT-ანალიზი და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება</i>
14	<i>მომავალი სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის შედგენა</i>

**2. განხორციელება** - შემუშავებული გეგმის განხორციელების მიზნით ა(ა)იპ კოლეჯის „პრესტიჟი“ მონიტორინგის ჯგუფი:

- შეიმუშავებს სტუდენტთა/მსმენელთა, დამსაქმებელთა, კურსდამთავრებულთა და პროფესიული განათლების მასწავლებელთა გამოკითხვის ფორმებს;
- ატარებს სტუდენტთა/მსმენელთა, დამსაქმებელთა, კურსდამთავრებულთა და პროფესიული განათლების მასწავლებელთა გამოკითხვას სასწავლო პროცესისა და საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებული სასწავლო კურსების ხარისხის დადგენის მიზნით;
- გამოკითხვის შედეგად მიღებული ინფორმაციის ანალიზს იყენებს სასწავლო პროცესისა და სწავლების ხარისხის გაუმჯობესების ღონისძიებების დაგეგმვაში;
- შრომის ბაზარზე არსებული მოთხოვნების იდენტიფიცირების მიზნით შეიმუშავებს პოტენციური დამსაქმებლებისა და პროფესიული ორგანიზაციების გამოკითხვის ფორმებს, ატარებს შესაბამის გამოკითხვებს და მიღებულ შედეგებს იყენებს პროგრამების შემდგომი დახვეწისა და სრულყოფისათვის;
- წლის განმავლობაში ატარებს სასწავლო პროცესის მონიტორინგს;
- ამოწმებს სასწავლო კურსის (მოდული) შესაბამისობას კალენდარულ გეგმასთან და შედეგების დადასტურების მიმდინარეობის პროცესს;
- შეისწავლის არსებულ მატერიალურ-ტექნიკურ რესურსებს, ამოწმებს სასწავლო პროცესის განხორციელებისთვის აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური რესურსების არსებობას და მის შესაბამისობას საგანმანათლებლო პროგრამებთან;
- ამოწმებს საბიბლიოთეკო წიგნადი ფონდის და სასწავლო კურსების (მოდულები) სავალდებულო ლიტერატურის შესაბამისობას;
- ამოწმებს კომპიუტერული ტექნიკის მდგომარეობას, სასწავლო პროცესში მის გამოყენებას და პროგრამულ უზრუნველყოფას;
- ამოწმებს ვებ-გვერდის მუშაობასა და ინფორმაციის გონივრულ ვადაში განახლების პროცესს.
- დირექტორს წარუდგენს გამოკითხვის ანალიზს და სასწავლო კურსებისა და საგანმანათლებლო პროგრამების შემოწმების შედეგებს;

**3. შემოწმება** - შემოწმების/შეფასების შედეგად მიღებული მონაცემების ანალიზი, შესაბამისი დასკვნების გამოტანა, რეკომენდაციების შემუშავება და გასატარებელი ღონისძიებების განსაზღვრა; დასკვნების და რეკომენდაციების წერილობითი ფორმით წარდგენა ან/და ზეპირი პრეზენტაცია.

სტანდარტებთან/მსმენელთა შესაბამისობის დადგენის მიზნით შემოწმდება:

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებული სასწავლო კურსები(მოდული), სწავლის/სწავლების პროცესის მიმდინარეობა და ხარისხი;
- აკადემიური/მოწვეული პერსონალი;
- მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, რომელიც გამოიყენება სასწავლო პროცესში.

№	განსახორციელებელი სამუშაო	შემოწმების პერიოდი
1	<p><i>სალექციო განრიგის შემოწმება და შესაბამისობის დადგენა საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო გეგმებთან</i></p> <p>სალექციო განრიგის არარსებობის შემთხვევაში გატარდეს შესაბამისი ღონისძიება, რათა სალექციო განრიგი სტუდენტებისთვის/მსმენელებისათვის და ყველა დაინტერესებული პირისთვის ხელმისაწვდომი იყოს სწავლის დაწყებამდე არაუგვიანეს ერთი კვირისა.</p> <p><i>შემოწმდეს სალექციო განრიგის თანხვედრა საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმასთან.</i></p>	სასწავლო პროცესის დაწყებამდე
2	<p><i>მატერიალურ-ტექნიკური ბაზის (მათ შორის აუდიტორიების და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზის, ინვენტარის და სასწავლო პროცესისთვის აუცილებელი პირობების, კომპიუტერული ტექნიკის – კომპიუტერული პროგრამების და ინტერნეტის), მდგომარეობის შემოწმება და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებული მატერიალურ-ტექნიკურ ბაზასთან შესაბამისობის დადგენა</i></p>	წლის განმავლობაში

	<p><b>მატერიალურ-ტექნიკური რესურსის</b> სასწავლო პროცესში გამოყენების შემოწმებისას ხდება მისი შედარება კანონმდებლობით დადგენილ სტანდარტებთან და საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებულ აუცილებელ რესურსებთან. მატერიალური რესურსი უნდა იძლეოდეს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას, უნდა იყოს ხელმისაწვდომი სტუდენტებისთვის და პერსონალისთვის. შემოწმებას ექვემდებარება სასწავლო ფართი, აუდიტორიები, კომპიუტერული ტექნიკა და კომპიუტერული პროგრამები (არსებობა, გამართული მუშაობა, განახლების საჭიროება, ხელმისაწვდომობა სტუდენტებისთვისა და პერსონალისთვის და სხვ.), საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები (ინტერნეტი, შიდა ქსელი, სათანადო კომპიუტერული პროგრამებით აღჭურვა და სხვ.).</p> <p>ხარვეზების აღმოჩენის შემთხვევაში ეცნობოს დირექტორს.</p>	
3	<p><b>საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული ყველა სასწავლო კურსის (მოდული) კალენდარული გეგმების არსებობის შემოწმება</b></p> <p>მოწმდება საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული ყველა სასწავლო კურსის (მოდული) კალენდარული გეგმების არსებობა და მისი შესაბამისობა სასწავლო კურსით (მოდული) გათვალისწინებულ თემატიკასთან.</p> <p>ხარვეზის გამოვლენის შემთხვევაში, მიეთითება მასწავლებელს და მიეცემა დრო კორექტირებისათვის სასწავლო კურსის (მოდული) დაწყებამდე.</p>	<p>სასწავლო პროცესის დაწყებამდე (კონკრეტული მოდულის დაწყებამდე)</p>
4	<p><b>საბიბლიოთეკო წიგნადი ფონდის (სახელმძღვანელოების და სასწავლო მასალის ფიზიკური მდგომარეობა, რაოდენობა, სასწავლო კურსში (მოდული) მოთითებული ლიტერატურის შესაბამისობა) შემოწმება</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• მოწმდება ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზი და ინვენტარი, ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი (შევსება-განახლება, სასწავლო კურსების/მოდულების მითითებულ ლიტერატურასთან შესაბამისობა);</li> <li>• დაზიანებული და გამოუსადეგარი წიგნების ჩამოწერის და ახალი სახელმძღვანელოების შეძენის აუცილებლობის შესახებ ეცნობება დირექტორს;</li> <li>• დაკარგული სახელმძღვანელოების ნაცვლად ახალი სახელმძღვანელოების შეძენის აუცილებლობის შესახებ ეცნობება დირექტორს.</li> </ul>	<p>წლის განმავლობაში</p>
5	<p><b>ვებ-გვერდის მუშაობის და ინფორმაციის განახლების შემოწმება</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ვებ-გვერდი უნდა ასრულებდეს საკომუნიკაციო და</li> </ul>	<p>წლის განმავლობაში</p>

	<p>საინფორმაციო ფუნქციას;</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ვებ-გვერდზე მოძველებული ან არასრული ინფორმაციის შემთხვევაში ხარვეზის გამოსწორების მიზნით ეცნობება ქსელის ადმინისტრატორს.</li> </ul>	
6	<p><b>სტუდენტთა/მსმენელთა, პროფესიული განათლების მასწავლებელთა, დამსაქმებელთა, კურსდამთავრებულთა გამოკითხვა სასწავლო პროცესის, საგანმანათლებლო პროგრამის და სასწავლო კურსის (მოდული) ხარისხის მონიტორინგის მიზნით</b></p> <p>გამოკითხვის შედეგად მოწმდება პროფესიული სტუდენტის კმაყოფილება სასწავლო პროცესის ხარისხით, პროგრამის აქტუალობითა და პროგრამების განმახორციელებელი პირებით. ასევე, ტარდება სასწავლო პროცესის ადმინისტრირებითა და პროგრამების აქტუალობით დამსაქმებლებისა და მასწავლებლების კმაყოფილების კვლევა. პრობლემის იდენტიფიცირების შემთხვევაში, ხორციელდება საკონსულტაციო შეხვედრები სტუდენტებთან/მსმენელებთან, მასწავლებლებთან და დამსაქმებლებთან.</p>	<p>წლის განმავლობაში</p>
7	<p><b>სასწავლო კურსის (მოდული) საკონტაქტო საათებზე დასწრებისა და შედეგების დადასტურების მონიტორინგი</b></p> <p>სასწავლო კურსის (მოდული) საკონტაქტო საათებზე დასწრებისა და შედეგების დადასტურებისას მოწმდება სასწავლო კურსის კალენდარული გეგმის მიხედვით წარმართვა, პროფესიული სტუდენტების/მსმენელების საკონტაქტო საათებზე დასწრება და შედეგების დადასტურების მიმდინარეობის გამჭვირვალობა. ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში, მასწავლებლებთან ტარდება საკონსულტაციო შეხვედრები.</p>	<p>სასწავლო წლის განმავლობაში</p>
8	<p><b>სასწავლო პროცესში ინკლუზიური განათლების ინტეგრირებისა და ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნის მიზნით, ახალი მექანიზმების დანერგვის ხელშეწყობა</b></p> <p>სასწავლო პროცესში ინკლუზიური განათლების ინტეგრირებისა და ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნის მიზნით, მოწმდება სსსმ და შშმ პირებისათვის მხარდაჭერის მექანიზმები და საჭიროების გამოვლენის შემთხვევაში, ეცნობება დირექტორს.</p>	<p>წლის განმავლობაში</p>
9	<p><b>ადამიანური რესურსის შეფასება</b></p> <p>ადამიანური რესურსის შიდა შეფასებისას დგინდება პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ სასწავლო პროცესის წარმართვის ხარისხი შემდეგი კრიტერიუმებით:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>▪ სწავლებისა და შეფასების ადეკვატური მეთოდების შერჩევა;</li> <li>▪ სასწავლო კურსის შინაარსის განსაზღვრა თანამედროვე კონცეფციებისა და ინფორმაციის გათვალისწინებით;</li> <li>▪ სასწავლო კურსთან დაკავშირებულ სფეროში მიმდინარე ცვლილებების, სიახლეებისა და ტენდენციების ცოდნა და</li> </ul>	<p>სასწავლო წლის განმავლობაში</p>

	<p>სტუდენტებისთვის მიწოდება;</p> <ul style="list-style-type: none"> <li>▪ შესასწავლი მასალის გადაცემისა და სტუდენტებთან/მსმენელებთან ეფექტური კომუნიკაციის უნარი;</li> <li>▪ სტუდენტების/მსმენელების ცოდნის და უნარების ობიექტური შეფასება;</li> <li>▪ სასწავლო კურსის შინაარსის ადეკვატური თანამედროვე, სავალდებულო და დამხმარე ლიტერატურის ცოდნა;</li> <li>▪ კონსულტაციების მეშვეობით, სტუდენტებთან/მსმენელებთან ინდივიდუალური მუშაობა.</li> </ul>	
--	--	--

**4. რეაგირება** - შიდა შეფასება მიმართულია ძლიერი მხარეების გამოსაკვეთად, სუსტი მხარეების და არსებული ხარვეზების აღმოსაფხვრელად და ტარდება სწავლის/სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის, გაუმჯობესების, განვითარებისა და დადგენილ სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით. ხარვეზების და სტანდარტებთან შეუსაბამობის აღმოჩენის შემთხვევაში, საჭირო ხდება სათანადო რეაგირება და აუცილებელი ღონისძიებების ჩატარება. ამ მიზნით, შემოწმება-შეფასების და გამოკითხვების ანალიზის საფუძველზე, ა(ა)იპ კოლეჯის „პრესტიჟი“ მონიტორინგის ჯგუფი:

- ადგენს მატერიალურ-ტექნიკურ რესურსების განახლება-სრულყოფის და შეძენის საჭიროებას;
- ადგენს ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის შევსება-განახლებისა და სასწავლო კურსებში (მოდულები) მითითებულ სავალდებულო ლიტერატურასთან შესაბამისობაში მოყვანის აუცილებლობას;
- აანალიზებს სასწავლო პროცესს და შედეგებს წარუდგენს კოლეჯის დირექტორს;
- შეიმუშავებს სათანადო რეკომენდაციებს და სამოქმედო გეგმას აღმოჩენილი ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით;
- მონიტორინგს უწევს სწავლა-სწავლების პროცესს ხარისხის გასაუმჯობესებლად და არსებული ხარვეზების აღმოსაფხვრელად დაგეგმილი ღონისძიებების გატარებას.

რეაგირებისა და გადაწყვეტილების მიღების თვალსაზრისით, შეფასების ერთ-ერთ საკვანძო და მნიშვნელოვან ეტაპს წარმოადგენს მონიტორინგის შედეგების ანალიზი, რომლის ერთ-ერთი უმთავრესი კომპონენტია სასწავლო წლის დასრულების შემდეგ ჩატარებული ე.წ. SWOT-ანალიზი. SWOT-ანალიზი გულისხმობს შიდა გარემოს გამოკვლევას ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენის საფუძველზე და შესაძლებლობების, საფრთხეების და რისკების განსაზღვრას გარე ფაქტორების ზემოქმედების შედეგად.

## SWOT ანალიზი

შიდა გარემო	ძლიერი მხარეები - <b>S</b> trengths	სუსტი მხარეები - <b>W</b> eaknesses
	<ul style="list-style-type: none"><li>•</li><li>•</li><li>•</li><li>•</li></ul>	<ul style="list-style-type: none"><li>•</li><li>•</li><li>•</li><li>•</li></ul>
გარე ფაქტორები	შესაძლებლობები - <b>O</b> pportunities	საფრთხეები, რისკები - <b>T</b> hreats
	<ul style="list-style-type: none"><li>•</li><li>•</li><li>•</li><li>•</li></ul>	<ul style="list-style-type: none"><li>•</li><li>•</li><li>•</li><li>•</li></ul>